სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

21 05 2021 წ. №58 ქ. თბილისი

დოკუმენტური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/4) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საექსპერტო კომისიის დამტკიცებამდე კომისიის წევრობის კანდიდატებზე წერილობითი დასაბუთების მომზადების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2014 წლის 16 ივლისის №170 ბრძანების შესაბამისად

ვბრძანებ:

1.2021 წლის 21 მაისს შეიქმნას დოკუმენტური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/4) განმხილველი საექსპერტო კომისია (შვიდი) წევრის შემადგენლობით:

1. შორენა ლებანიძე – მწერალი/სცენარისტი;
2. მამუკა მგალობლიშვილი – კინომცოდნე;
3. გიორგი მრევლიშვილი - რეჟისორი;
4. ირაკლი ფანიაშვილი – რეჟისორი;
5. ლევან ღლონტი - რეჟისორი;
6. ნინო ჩიჩუა - პროდიუსერი;
7. ეკატერინე ჭელიძე – რეჟისორი;

2.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება შორენა ლებანიძის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრობის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, შორენა ლებანიძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ, მის მიერ წარმოდგენილი CV-ისა და ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ შორენა ლებანიძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

შორენა ლებანიძეს განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1990 წელს. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შ. ლებანიძემ მუშაობა დაიწყო პირველი ქართული დამოუკიდებელი გაზეთის „7 დღის" ჟურნალისტად და სარადაქციო კოლეგიის წევრად, წერდა იმ პერიოდში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ამსახველ პუბლიცისტურ სტატიებს, ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს, რეპორტაჟებს კონფლიქტის ზონებიდან, აწარმოებდა ჟურნალისტურ გამოძიებებს. მომდევნო წლებშI შ. ლებანიძე იყო გაზეთ „რეზონანსის" პოლიტიკური განყოფილების ჟურნალისტი, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დოკუმენტური ფილმების განყოფილების ჟურნალისტი და სცენარისტი, დოკუმენტური ფილმების - „საუკუნის ძარცვა", „მერაბ კოსტავა", „სოხუმის უკანასკნელი დღე", „ტერორისტული საქართველო" – შემოქმედებითი ჯგუფის წევრი.

შორენა ლებანიძის კალამს ეკუთვნის დოკუმენტური მოთხრობა ევგენი მიქელაძის ცხოვრების და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ, მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „ეს მე ვარ, ფიროსმანი", დოკუმენტური ესსე „საშვი კონფლიქტის ზონაში", დოკუმენტური რომანისა და მოთხრობების კრებული „თუ საჭიროა, გათქმევინებთ" - რომელიც არის ლიტერატურული კონკურსის „საბას" ლაურეატი და სხვა.

შორენა ლებანიძეს, როგორც ნიჭიერ, განათლებულ, აქტიურ და წარმატებულ ჟურნალისტს, მწერალსა და დოკუმენტალისტს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

რეზიუმე (cv)

სახელი, გვარი: შორენა ლებანიძე
დაბადების თარიღი: 29. 10. 1965
პირადი ნომერი: 01010015494
მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-4 მრ, მე-3 კორბუსი, ბინა 20.
ტელეფონი: 599 210 420
ელ. ფოსტა: Sh.Lebanidze@yahoo.com

განათლება:
1984-1990 წლები – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

საქმიანობა:
2012 წლიდან დღემდე – გამომცემლობა „არტანუჯის" თავისუფალი ავტორი.
გამოცემული წიგნების ჩამონათვალი:
2019 წელი – დოკუმენტური რომანისა და მოთხრობების კრებული „თუ საჭიროა, გათქმევინებთ", ლიტერატურულ კონკურს „ლიტერას" ნომინანტი, ლიტერატურულ კონკურს „საბას" ლაურეატი.
2018 წელი – მოთხრობა „პენელოპე. მგზავრი", კონკურს „ლიტერას" ნომინანტი.
2015 წელი – დოკუმენტური რომანი „მანანა ანუა, ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე", კონკურს „საბას" ნომინანტი, თბილისის საკრებულოს ლიტერატურული კონკურსის, „თბილისი-2016", ლაურეატი და ჟიურის სპეციალური პრიზის მფლობელი. 2016 წელს ითარგმნა აფხაზურ ენაზე. ითარგმნება თურქულ ენაზე და გამოიცემა სტამბოლში 2021 წლის ბოლომდე.
2014 წელი – დოკუმენტური ესსე „საშვი კონფლიქტის ზონაში".
2012 წელი – მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „ეს მე ვარ, ფიროსმანი", 2020 წელს ითარგმნა გერმანულად და გამოიცა ბერლინში.
2004 წელი – დოკუმენტური მოთხრობა „მაესტროს დაბრუნება, დირიჟორ ევგენი მიქელაძის ცხოვრების ქრონიკები" (გამოიცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით).

2006-2011 წლები – ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დოკუმენტური ფილმების განყოფილების ჟურნალისტი, წინასასცენარო ტექსტების ავტორი, შემდეგი დოკუმენტური ფილმების შემოქმედებითი ჯგუფის წევრი: „საუკუნის ძარცვა", „მერაბ კოსტავა", „სოხუმის უკანასკნელი დღე", „ტერორისტული საქართველო".

1997-2006 წლები – ტელეკომპანია „მეცხრე არხის" ღამის საინფორმაციო გამოშვების რედაქტორი, გაზეთების – „კვირის პალიტრა" და „24 საათი" – თანამშრომელი, ლიტერატურული ჟურნალის, „ჩვენი მწერლობა", ავტორი; ტელეკომპანიების – „იმედი", „რუსთავი-2" – საინფორმაციო გადაცემების ჟურნალისტი; „საქართველოს გაზეთის" გვერდის რედაქტორი; გაზეთ „რეზონანსის" პოლიტიკის განყოფილების ჟურნალისტი.

1997-1990 წლები – პირველი ქართული დამოუკიდებელი გაზეთის, „7 დღის", ჟურნალისტი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ჯილდოები: „საბასა" და თბილისის საკრებულოს ლიტერატურული კონკურსის ლაურეატობის გარდა, 2008 წელს, ჟურნალ „დიალოგში" გამოქვეყნებული

ნარკვევისთვის, „8848, ევერესტზე ასული ქართველი ალპინისტის დღიურები“, მიღებული აქვს სატელევიზიო ფილმების ფესტივალ „ნიამორის“ ლიტერატურული კონკურსისა და ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ მიერ დაწესებული მთავარი ჯილდოები და ფულადი პრემია.

წერილობითი დასაბუთება მამუკა მგალობლიშვილის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის მამუკა მგალობლიშვილის, პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ მამუკა მგალობლიშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

2016 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მამუკა მგალობლიშვილმა სწავლა განაგრძო ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტის კინომცოდნეობის ფაკულტეტზე. მ. მგალობლიშვილს ასევე დამთავრებული აქვს რადიო თავისუფლების მედიასკოლა.

მ. მგალობლიშვილი იყო ჟურნალ „ლიბერალის" ჟურნალისტი, ფოტოგრაფი და ვიდეოგრაფი. 2019 წლიდან დღემდე არის გამოცემა „პუბლიკის" ჟურნალისტი და თანადამფუძნებელი. მისი კინორეცენზიები და თარგმანები გამოქვეყნებულია ჟურნალ „ლიბერალში", „კინ-O-ში" და სხვ. მამუკა მგალობლიშვილი ავტორია სხვადასხვა თემაზე მომზადებული ვიდეოამბების და ფოტოპროექტების, იგი არის მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „ეს არ არის ჩემი სახლი".

მ. მგალობლიშვილი არის სხვადასხვა სერტიფიკატების და პრიზების მფლობელი ჟურნალისტიკაში, წარმატებით მონაწილეობდა სხვადასხვა კონკურსებში.

მამუკა მგალობლიშვილს, როგორც განათლებულს, თავისი საქმის საფუძვლიანად მცოდნე პროფესიონალს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

მამუკა
მგალობლიშვილი

30.08.1994

+995 577 29 10 18

basti.mgaloblishvili@gmail.com

ენები:

ქართული ★★★★★

ინგლისური ★★★★

სამუშაო გამოცდილება:

2019 - გამოცემა „პუბლიკა“ - დამფუძნებელი, ჟურნალისტი

2013-2019 - ჟურნალი „ლიბერალი“ - ჟურნალისტი, ფოტოგრაფი, ვიდეოგრაფი

2012-2013 - სტუდენტური მულტიმედია ჯგუფი „რეაქტორი“ - დამფუძნებელი

განათლება:

2018 - წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომცოდნეობის მაგისტრანტი

2013 - რადიო თავისუფლების მედიასკოლა

2012-2016 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულება

სერტიფიკატები:

2021 - კონკურს „ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში“ გამარჯვებული ნომინაციაში საუკეთესო ბლოგი/თვალსაზრისი/საავტორო სვეტი.

2019 - ორგანიზაციის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ კონკურსის გამარჯვებული ნომინაციაში „საუკეთესო მულტიმედიური პროდუქტი“ – ვიდეოსთორისთვის „ვაკო კოტრიკაძის ბაბუა“.

2016 - წინანდლის პრემიის ნომინანტი (ფოტოგრაფიის ნომინაციაში)

2016 - სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მედიაკონკურსის - „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება" გამარჯვებული (მუსლიმი და კათოლიკე თემის პრობლემებზე მომზადებული სტატიების სერიისთვის)

2015 - „მედიის განვითარების ფონდის“ ტოლერანტობის პრიზის მფლობელი ლგბტ პირების თემების გაშუქებისთვის (დოკუმენტური ფოტოპროექტი „გიორგი და გიორგი“)

სხვა:

გამოქვეყნებული კინორეცენზიები: ჟურნალ „ლიბერალში“, „კინ-O-ში“, georgian-cinema.ge-ზე, Publika.ge-სა და Queer.ge-ზე, ასევე კინომცოდნეობის საერთაშორისო სამეცნიერო სკოლის შერჩეული რეცენზიების კრებულში.

ავტორია სხვადასხვა თემაზე მომზადებული დოკუმენტური ვიდეოამბებისა და ფოტოპროექტებისა, რომლებიც „ლიბერალზე“, „პუბლიკასა“ და EMC-ზე ქვეყნდებოდა.

თანაავტორია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისა „ეს არ არის ჩემი სახლი“ (2015)

წერილობითი დასაბუთება გიორგი მრევლიშვილის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, გიორგი მრევლიშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ გიორგი მრევლიშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

2004 წელს გიორგი მრევლიშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი საერთაშორისო ჟურნალისტიკაში, 2006 წელს მიენიჭა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში. 2013 წელს გიორგი მრევლიშვილმა ვისკონსის უნივერსიტეტში (აშშ) მიიღო მაგისტრის ხარისხი კინოხელოვნებაში. იგი მუშაობდა რამოდენიმე მსხვილ საერთაშორისო კომპანიაში.

გიორგი მრევლიშვილს გადაღებული აქვს თხუთმეტამდე დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და ექსპერიმენტული ფილმი მათ შორის: „ზურაბი" (დოკუმენტური, 2006წ.), ანარეკლი (დოკუმენტური, 2010წ.), „კავკასიის შორეული ხეობები" (დოკუმენტური, 2011წ.), „ხაზები" (ექსპერიმენტული, 2012წ.), ჩემი მშვენიერი დედა" (დოკუმენტური, 2017წ.), თორმეტი გაკვეთილი (დოკუმენტური, 2019წ.) და სხვ.

გიორგი მრევლიშვილის ფილმმა „ზურაბი" 2007 წ. კინოფესტივალზე „ნიამორი" საუკეთესო ქართული ფილმის ჯილდო მიიღო, მისი ფილმი „ანარეკლი" 2010 წლის ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის „Berlin Today Avard"-ის ფინალისტი გახდა. ფილმი „ანარეკლი" წარმატებით იქნა ნაჩვენები სხვა პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

2021 წელს გამოიცა გიორგი მრევლიშვილის წიგნი „პროცესი", დოკუმენტურ კინოში ექსპერიმენტული ხერხების გამოყენების შესახებ.

მაღალი პროფესიონალზმის, თანამედროვე დოკუმენტური კინოს საფუძვლიანი ცოდნისა და კრეატიულობის გათვალისწინებით, ვიწვევ გიორგი მრევლიშვილს საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

გიორგი მრევლიშვილი

კინორეჟისორი

გიორგი მრევლიშვილმა სახვითი ხელოვნების მაგისტრის ხარისხი კინოხელოვნებაში 2013 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვისკონსინის უნივერსიტეტისგან მიიღო. 2006 წელს მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის, ხოლო 2004 წელს ჟურნალისტის ბაკალავრის ხარისხი მიენიჭა. 2005 წელს მონაწილეობდა ვარანის დოკუმენტური ფილმების სახელოსნოში. მისმა ფილმმა „ზურაბი“ 2007 წლის კინოფესტივალზე „ნიამორი“ საუკეთესო ქართული ფილმის ჯილდო მიიღო. 2010 წელს მრევლიშვილი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის “Berlin Today Award”-ის ფინალისტი გახდა სურათით „ანარეკლი“. 2015 წელს, ქალაქ ნიონში, „ანარეკლი“ წარდგენილი იყო ფესტივალ Vision Du Reel-ის მიერ მოწყობილ ქართული კინოს რეტროსპექტივაზე „ფოკუსი: საქართველო“, 2018 წელს კი, ტოკიოს ივანამი ჰოლში, ქართული კინოს ფესტივალზე. მრევლიშვილის „კავკასიის შორეულ ხეობებს“ 2011 წლის ბასტაუს საერთაშორისო კინოფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა. 2019 წელს მისმა ნამუშევარმა „თორმეტი გაკვეთილი“ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე სპეციალური აღნიშვნა მიიღო. 2021 წელს, გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, გამოიცა მისი წიგნი „პროცესი“, რომელიც დოკუმენტურ კინოში ექსპერიმენტულ მაგალითებს ეძღვნება. 2004-2019 წლებში გიორგი მრევლიშვილს თხუთმეტამდე დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და ექსპერიმენტული ფილმი აქვს შექმნილი, რომლებიც მრავალ საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენეს.

წერილობითი დასაბუთება ეკატერინე ჭელიძის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ეკატერინე ჭელიძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ელენე ნავერიანის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ეკატერინე ჭელიძემ 2001 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კინო-ტელე რეჟისურის სპეციალობით. 2006 წლიდან ე. ჭელიძე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, 2008 წლიდან იგი იყო შემეცნებითი სკოლის „ვიკიპედია" დირექტორის მოადგილე, 2011 წლიდან ფოკუსური ჯგუფების ხელმძღვანელი კომპანიაში „სონარი", 2014-16 წლებში იგი იყო კომპანია „Switch Communications"-ის კრეატიული ჯგუფის წევრი. 2013 წლიდან ეკატერინე ჭელიძე თანამშრომლობს აუდიოვიზუალურ კომპანიასთან „პარაშუტი", როგორც სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების სცენარის ავტორი და რეჟისორი.

2012 წელს ე. ჭელიძემ გადაიღო ექსპერიმენტული ფილმი „ახალგაზრდული სულისკვეთება", იგი იყო ფილმის „ძაღლზე უკეთესი" (2016წ.) თანარეჟისორი, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „დრამერი" (2021წ.) სცენარის ავტორი. ეკატერინე ჭელიძის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „მკვდარი სულების არდადეგები" მსოფლიო პრემიერა შედგა 2020 წელს ქალაქ ტორონტოში, ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე დიდი ფესტივალის „Hot Docs" სექციაში „The Changing Face of Europe".

ეკატერინე ჭელიძეს, როგორც წარმატებულ ახალგაზრდა კინორეჟისორს, მისი კვალიფიკაციის, კინოხელოვნების საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნისა და კრეატიული ხედვის გათვალისწინებით, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ეკატერინე (კეკო) ჭელიძე- თბილისი, დიღმის მასივი, 1 კვ., 12 კორპ., ბ 72.
მობ: 591108119 / Email: kekochelidze@gmail.com

ეკატერინე (კეკო) ჭელიძე - CV

კეკო ჭელიძე დაიბადა 1983 წლის 28 ნოემბერს თბილისში. 2001 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კინო-ტელე რეჟისურის ფაკულტეტზე, ხოლო 2013 წლიდან თანამშრომლობს აუდიოვიზუალურ კომპანიასთან შპს 'პარაშუტი', როგორც სრულმეტრაჟიანი, მოკლე და დოკუმენტური ფილმების სცენარისტი, დამდგმელი რეჟისორი და რეჟისორის ასისტენტი.

ფილმოგრაფია

რეჟისორი / სცენარის ავტორი:

2020 **"მკვდარი სულების არდადეგები"** (DEAD SOULS' VACATION) - 67' დოკუმენტური
- 2018 ეროვნული კინოცენტრის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსის გამარჯვებული.
- 2020 წლის Hot Docs International Documentary Film Festival (კანადა) - მსოფლიო პრემიერა.

2022 **"აღარ შემიძლია"** (NO MORE) - 100' მხატვრული ***(წარმოების ეტაპზე)***
- 2020 წლის ბუდაპეშტის სადებიუტო ფილმების ფორუმის მონაწილე (უნგრეთი)
- 2019 ეროვნული კინოცენტრის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსის გამარჯვებული

2016 **"Better than Dog"** (ძაღლზე უკეთესი) - 27' - მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი თანარეჟისორი კოტე კალანდაძესთან ერთად

სცენარის ავტორი

2021 **"დრამერი"** (THE DRUMMER) - 90' - სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი
რეჟისორი: კოტე კალანდაძე
- 2017 წლის ეროვნ. კინოცენტრის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსის გამარჯვებული.

2012 **„Teen Spirit"** (ახალგაზრდული სულისკვეთება) - 84' - ექსპერიმენტული ფილმი

განათლება

2006 კინო-ტელე რეჟისურის ბაკალავრი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2003 სამკურნალო პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კურსი - „მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა.

სამუშაო გამოცდილება

2014-16 კრეატიული ჯგუფის წევრი - კომპანია „Switch Communications"
2011 ფოკუსური ჯგუფების ხელმძღვანელი - კომპანიაში „სონარი"
2008 დირექტორის მოადგილე - შემეცნებით სკოლა „ვიციპედია"
2006 პედაგოგი - „მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა"

წერილობითი დასაბუთება ნინო ჩიჩუას კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ნინო ჩიჩუას პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ ნინო ჩიჩუას განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის წევრად.

ნინო ჩიჩუას ბაკალავრის წოდება მიღებული აქვს ნიუ-იორკის უნივერსიტეტში (NYU) Tisch School of the Arts - ის ხელოვნების სკოლა, კინო და ტელე წარმოების მიმართულებით, სწავლის პერიოდში მან სტაჟირება გაიარა ამერიკული დოკუმენტური ფილმების გადაღებებზე. შემდგომ ნინო ჩიჩუა მუშაობდა ნიუ-იორკში, დოკუმენტური ფილმების წარმოების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და წარმატებულ კომპანიაში „Impact Partners".

2017 წლიდან ნინო ჩიჩუა არის კომპანია 1991 Production-ის თანადამფუძნებელი, კომპანია ემსახურება როგორც ქართული კინოხელოვნების პოპულარიზაციას, ისე ხელშეწყობას იმ უცხოელი კინომაღვაწეთათვის, რომლებსაც საქართველოს გადასაღებ მოედნებზე მუშაობის, ან ქართული მხარის ჩართულობით კინოწარმოების სურვილი აქვთ.

ნ. ჩიჩუა არის პროდიუსერი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისა „დიდება დედოფალს", პროექტმა ევრიმაჟის და რამოდენიმე სხვა ფონდის დაფინანსება მოიპოვა, ფილმი ნაჩვენები იქნა არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე და კრიტიკოსების და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

ამჟამად ნინო ჩიჩუა არის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „ღიმილიანი საქართველო" პროდიუსერი (ფილმი პოსტ-პროდუქციის ეტაპზეა), გარდა ამისა იგი მუშაობს რამოდენიმე მხატვრული და დოკუმენტური პროექტის განვითარებაზე.

ნინო ჩიჩუას, როგორც ნიჭიერ, განათლებულ და წარმატებულ პროფესიონალს, კინოსაპროდიუსერო საქმიანობაში მისი გამოცდილების გათვალისწინებით ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

ნინო ჩიჩუა
ბიო

ნინო ჩიჩუამ ნიუ იორკის უნივერსიტეტის (NYU) Tisch School of the Arts - ში კინო და ტელე წარმოების მიმართულებით მიიღო ბაკალავრს წოდება. ის ნიუ იორკში მუშაობდა მსოფლიოს წამყვან დოკუმენტური ფილმების პროდაქშენ კომპანია Impact Partners-ში, რომლის ფილმებიც მრავალჯერ იყო ოსკარზე ნომინირებული. სწავლის პერიოდში მან სტაჟირება გაიარა ამერიკული დოკუმენტური ფილმის ,,Venus & Serena"-ს წარმოებასა და გრეგორი კრუდსონის გადაღებებზე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1991 Productions-ის დაფუძნებამდე ნინო აქტიურად ჩაერთო კინოწარმოებაში და იმუშავა სხვა და სხვა ქართველი რეჟისორების (გიორგი ოვაშვილის, თორნიკე ბზიავას) პროექტებზე ლაინ პროდიუსერად.

2017 წელს, უცხოეთში და ადგილობრივად მიღებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით, ნინომ 1991 Productions დააარსა პარტნიორ ანა ხაზარაძესთან ერთად. მას შემდეგ ის აწარმოებს ფილმებს კინოცენტრის და საერთაშორისო პარტნიორების დახმარებთ. ამასგარდა, ის საქრთველოს როგორც გადასაღები მოედნის ცნობადობის ამაღლების და პროექტების მოზიდვის მიმართულებით მუშაობს და არაერთ უცხოურ გადაღებას მოემსახურა.

ნინო 2018 წელს ეროვნული კინოცენტრის დოკუმენტური ფილმების წარმოების კონკურსში დაფინანსებული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ,,დიდება დედოფალს" პროდუსერია. ფილმი ოთხი ჩემპიონი მოჭადრაკე ქალის, ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, მაია ჩიბურდანიძის და ნანა იოსელიანის წარსულსა და აწმყოზე მოგვითხრობს. ამ ფილმისთვის შეიკრა საერთაშორისო საპროდიუსერო გუნდი და ავსტრიელ და სერბ კოპროდიუსერებთან ერთად, პროექტმა ევროპის საბჭოს კულტურის ფონდის ევრიმაჟის, და ბევრი სხვა ფონდის დაფინანსება მოიპოვა. ფილმი წარმატებით მოგზაურობს საერთაშორისო კინოფესტივალებზე (CinEast Film Festival 2020, LU; Free Zone Film Festival 2020, RS; Doqumenta 2020, MX; Fipadoc 2021, FR; Bolzano Film Festival 2021; IT, Kansas City FilmFest 2021, US; goEast Festival 2021, DE; SEEfest 2021, US; Jeonju Int. FF 2021, KR).

ნინო ლუკა ბერაძის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ,,ღიმილიანი საქართველო"-ს პროდიუსერიცაა (ამჟამად პოსტ-პროდუქციის ეტაპზე). პროექტი დაფინანსდა საქართველოს ეროვნული კინოცენტრიდან და მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო პლატფორმებზე Eurasia Doc, Ex Oriente, Go East, DocLisboa, New Talents Caucasus, American Film Showcase.

ნინო, პარტნიორ ანასთან ერთად, ამჟამად რამოდენიმე მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმს ანვითარებს: უტა ბერიას ,,ცრემლსადენი გაზი" (მოიპოვა განვითარების დაფინანსება საქართველოს ეროვნული კინოცენტრიდან), ანა ხაზარაძის ,,თარჯიმანი" (მოიპოვა სცენარის განვითარების დაფინანსება საქართველოს ეროვნული კინოცენტრიდან), გიორგი თოდრიას ,,ნახევარმთვარის სევდა" და ნინა შაბურიშვილის ,,სიჩუმის ქაოსი".

წერილობითი დასაბუთება ლევან ღლონტის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრობის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ლევან ღლონტის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ, მის მიერ წარმოდგენილი CV-ისა და ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ ლევან ღლონტის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ლევან ღლონტს განათლება მიღებული აქვს თბილისის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო (მეორადი ფაკულტეტი) ფაკულტეტზე.

ლევან ღლონტს გადაღებული აქვს რამოდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმი, არის ფილმების სცენარის ავტორი, ნამუშევარი აქვს როგორც ფილმის მემონტაჟესა და მსახიობს. ლევან ღლონტის კინონამუშევრები წარმატებით მონაწილეობდნენ არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალსა და კინოფორუმზე, მათ მიღებული აქვთ ჯილდოები: 1992 წელს „ოქროს არწივი" - საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის, 1992 წელს კიევის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი – საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის, ლონდონის ტელევიზიის მე-4 არხის ჯილდო.

ლ. ღლონტი არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი.

ლევან ღლონტის განათლების, პროფესიონალიზმისა და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ავტობიოგრაფია

სახელი, გვარი:	ლევან ღლონტი
დაბ. თარიღი:	10 მაისი, 1956 წელი
მისამართი:	ქ. თბილისი, ნ. ნიკოლაძის ქ. №3
ტელეფონი:	(+995 322) 2 92 32 78
მობილური:	(+995 322) 574 188 998

განათლება:

1979 - 1984	შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი კინოსარეჟისორო ფაკულტეტი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კინოსარეჟისორო მეორადი ფაკულტეტი

შრომითი საქმიანობა:

1990 დღემდე	ტელეფილმების სტუდია "კვალი" (თბილისი, საქართველო) კინორეჟისორი

ფილმები:

1990	მხატვრული ფილმი "დღე"
2002 - 2003	დოკუმენტური ფილმი "ხახვის ცრემლები"
2004 - 2005	დოკუმენტური ფილმი "დაბრუნება"
2007	სოციალური სარეკლამო ვიდეო-კლიპი
2007	დოკუმენტური ფილმი "ტაო-კლარჯეთი'
2013	მოკლემეტრაჟიანი ნოველა (8წთ.) მხატვრული ფილმიდან "თბილისი, ჩემი ქალაქი"

მონაწილეობა კინოფესტივალებში:

1990	მიუნხენის საერთაშორისო კინოფესტივალი "ლონდონის ტელევიზიის IV არხის" ჯილდო ფილმისათვის - "დღე"
1991	ბერლინის საერთაშორისო ფილმების ფორუმი
1992	ფლორენციის კინოფესტივალი
1992	კიევის კინოფესტივალი ჯილდო საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისათვის - ფილმი "დღე"

1992	ქართული ფილმების ფესტივალი "ოქროს არწივი" ჯილდო საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისათვის - ფილმი "დღე'
2006	პრაღის (ჩეხოსლოვაკია) საერთაშორისო ფილმების ფესტივალი "ერთიანი სამყარო"
2006	საერთაშორისო ფილმების ფესტივალი ერევანში (სომხეთი)
2007	ანდრია პირველწოდებულის მართლმადიდებლური ფილმების II საერთაშორისო ფესტივალი ბათუმში მთავარი პრიზი - „წმინდა ანდრიას ჯვარი" ფილმისათვის "ტაო-კლარჯეთი"
წევრობა:	საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი

წერილობითი დასაბუთება ირაკლი ფანიაშვილის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ირაკლი ფანიაშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-სა და სხვა წყაროების საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ირაკლი ფანიაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1991 წელს ირაკლი ფანიაშვილმა დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი, 1998 წელს – კინორეჟისურის უმაღლესი კურსები (ალექსანდრე რეხვიაშვილის სახელოსნო).

2000 – 2006 წწ. ი. ფანიაშვილი იყო ფოტოგრაფიის და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი, 2000 – 2006 წწ. თბილისის კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, 2007 წლიდადან ასოციაცია "ველი" – აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარების სტუდიის გამგეობის თავმჯდომარე.

1998 წელს ირაკლი ფანიაშვილმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ხმა (იგი იყო ფილმის რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი), რომელიც 1998 წელს მონაწილეობდა ლაიფციგის დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, ხოლო 2000 წელს უნგრეთში გამართულ ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე.

2009 წელს ფანიაშვილმა გადაიღო მოკლემეტრაჟIანი მხატვრული ფილმი „სერგო გოთორანი" (იგი იყო ფილმის რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი). ფილმი 2009 წელს მონაწილეობდა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე, 2010 წელს – ნიდერლანდებში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე, ვოლოგდას საერთასორიშო კინოფესტივალზე, ანტალიის 47-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე.

კინოს სფეროში ი. ფანიაშვილის დიდი და მრავალფეროვანი სამუშაო გამოცდილების, პროფესიონალიზმისა და კარგი მხატვრული გემოვნების გათვალისწინებით, შეირჩეს იგი საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

CV ირაკლი (ერეკლე) ფანიაშვილი

საკონტაქტო რეკვიზიტები
თ. ჭოველიძის ქ. №13
380008 თბილისი
მობილური: 595417333
ელ-ფოსტა:
irakli40@gmail.com

პერსონალური ინფორმაცია
ეროვნება: ქართველი
დაბადების თარიღი: 19 მარტი, 1968, თბილისი

განათლება

1996 – 1998 კინო-რეჟისორის უმაღლესი კურსები, ალექსანდრე რეხვიაშვილის სახელოსნო, თბილისის ტელევიზიის და რადიოს ინსტიტუტი

1985 – 1991 სამსახიობო ფაკულტეტი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

სამუშაო გამოცდილება

2007-დან ასოციაცია "ველი" – აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარების სტუდია
თანამდებობა: გამგეობის თავმჯდომარე

2000 - 2006 cccd -კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრი, თბილისი
თანამდებობა: თავმჯდომარის მოადგილე

2000 - 2006 ფოტოგრაფიის და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტი, თბილისი
თანამდებობა: დირექტორი

ფილმები

2009 **"სერგო გოთორანი / სერგო გოთვერანი" / "Sergo the Rogue"**
მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 48წ.
სცენარის ავტორი, პროდიუსერი და რეჟისორი

1998 **"ხმა" / "VOICE"** დოკუმენტური ფილმი, 48წ.
სცენარის ავტორი, პროდიუსერი და რეჟისორი

ფესტივალები

"სერგო გოთორანი / სერგო გოთვერანი"

2010 The 47th International Antalya Golden Orange Film Festival, Turkey

2010 VOICES Film Festival - Vologda Independent Cinema from European Screens, Russia

2010 The Cinema-at-Sea Festival, SatellietGroep, Netherlands

2009 10th Tbilisi International Film Festival, Georgia

	"ხმა"
2000	MEDIAWAVE 2000 Another Connection – International Festival of Visual Arts, Gyor, Hungary
1998	DOC LEIPZIG – International Leipzig Festival for Documentary and Animated films